

# ხელშეკრულება N24/03/2022/2

ქ.თბილისი 24/03/2022

ერთი მხრივ, შპს „-----“ (ს.კ.-----) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ, ი/მ მარიამ გულუაშვილი დოლიძე“ (პ/ნ 01005036520) წარმოდგენილი კომპანია withus-ის დირექტორი (შემდგომში „შემსრულებელი“), (ორივე მხარე შემდგომში ნახსენებია, როგორც „მხარეები“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დაამზადოს ვებ გვერდი, რომელიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #1, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად. 1.2. დანართი #1 შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. მომსახურების განვეის წესი

- 2.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება განიოს უშუალოდ.
- 2.2. მომსახურების განვეისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის წერილობითი თანხმობით.
- 2.3. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება განიოს დანართ #1-ში მითითებულ ვადებში იმ შემთხვევაში, თუ არ ირღვევა მუხლი 4.2.3;

## 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 1,000 (ათას) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. 3.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების წესით, შემდეგი გრაფიკით:

- 3.2.1. ღირებულების 20% გადახდილ უნდა იქნეს ავანსად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 საბანკო დღის ვადაში;
- 3.2.2. მომსახურების ღირებულების დარჩენილი 80% გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების დასრულებიდან 3 საბანკო დღის ვადაში, რის შემდეგაც მოხდება დანართში აღწერილი მომსახურებით შექმნილი პროდუქტის „დამკვეთისთვის“ გადაცემა.
- 3.2.3. პუნქტი 3.2.2 შესრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში „მხარეებს“ ეკისრებათ ვალდებულება, რომ გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი.
- 3.2.4. გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

## 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

### 4.1 შემსრულებელი ვალდებულია:

- 4.1.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
- 4.1.2 დამკვეთის მოთხოვნით უსასყიდლოდ საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების განვეის პროცესში შემსრულებელმა დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.

დამკვეთი ----- შემსრულებელი -----

4.1.3 მომსახურების დასრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს შექმნილი პროდუქტის გამოყენებისას, დამკვეთის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრა (პროდუქტის საგარანტიო ვადა)

4.1.4 დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.

**4.2 დამკვეთი ვალდებულია:**

4.2.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

4.2.2 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.3 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, ფაილები, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის.

**4.3 დამკვეთს უფლება აქვს:**

4.3.1 ნებისმიერ დროს შეამოწმოს „შემსრულებლის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, „შემსრულებლის“ საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

4.3.2 მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების განევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამომწვეულია ფორს-მაჟორული ვითარები გამო, რომლის წინასწარ განზრახვა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ან მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. დავა

- 7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
- 7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.3 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიტყვეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ერთი პრიმა პუნქტის შესაბამისად.

## 8. სხვა დებულებები

- 8.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 8.2 მხარეები ვალდებული არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მხარეთა რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.
- 8.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 8.4 მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.5 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 8.6 „დამკვეთს“ არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს შემსრულებლის მიერ დამზადებული პროგრამა, საიტი, აპლიკაცია, მოდული, ნებისმიერი პროგრამული კოდი და სხვა.
- 8.7 „შემსრულებელს“ აქვს უფლება განათავსოს „დამკვეთის“ პროექტზე მისი ვებ გვერდის მისამართი (ლინკი) და ლოგოტიპი.
- 8.8 „დამკვეთს“ არ აქვს უფლება თვითნებურად ამოიღოს/წაშალოს პროექტიდან „შემსრულებლის“ ვებ გვერდის მისამართი (ლინკი) და ლოგოტიპი.
- 8.9 მუხლი 8.8 დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთის“ მხრიდან „შემსრულებლისთვის“ ზარალის ასანაზღაურებელი საფასური შეადგენს მუხლი 3.1-ში წარმოდგენილი მომსახურების ჯამური ღირებულების 50%-ს.
- 8.10 ნებისმიერი სახის პროგრამული კოდი, დიზაინი და მართვის პანელი (არსებობის შემთხვევაში), რომლის მეშვეობითაც „შემსრულებელი“ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ მოვალეობას, შემდგომში ნახსენებია როგორც „სამართავი პანელი“.
- 8.11 საიტის „სამართავი პანელი“ წარმოადგენს „შემსრულებლის“ საკუთრებას და მისი ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გამოყენების უფლება არ აქვს „დამკვეთის“ მხარეს, მათ შორის „დამკვეთის“ ყოფილ, არსებულ და ნებისმიერ სხვა მომავალ თანამშრომელს, სხვა პროექტზე ან ნებისმიერი სხვა დანიშნულებით მუშაობისას. ამ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „დამკვეთს“.
- 8.12 „დამკვეთის“ მხრიდან დაუშვებელია მესამე მხარეზე „შემსრულებლის“ მიერ დამზადებული „სამართავი პანელის“ გადაცემა ან/და წვდომის მინიჭება, ნებისმიერი დანიშნულებით. ამ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „დამკვეთს“.
- 8.13 მუხლი 8.11 ან/და 8.12 დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთს“ ეკისრება პირგასამტეხლო, მუხლი 3.1-ში წარმოდგენილი მომსახურების ჯამური ღირებულების არანაკლებ 200%-სა (ორასი), ინდივიდუალურად ყოველი დარღვევის ფაქტისთვის,

შემსრულებლის სასარგებლოდ.

8.14 თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვას მომსახურების განევის პერიოდში მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9.2 ხელშეკრულების შეწყვეტა დაუყოვნებლივ შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით თუ: 9.2.1 მეორე მხარე უხეშად ან არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შორის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.4 ხელშეკრულების მხარეები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ერთმანეთის საქმიან ინტერესებს. 9.5 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.4. პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა პატივისცემის ფარგლებში დამკვეთს ეკრძალება აწარმოოს მიზანმიმართული მოლაპარაკებები შემსრულებლის თანამშრომლებთან, მათი გადაბირების მიზნით. დამკვეთს ეკრძალება ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში იქონიოს სახელშეკრულებო (წერილობითი ან ზეპირსიტყვიერი) ან/და შრომითი ურთიერთობა შემსრულებლის თანამშრომლებთან. ხელშეკრულების 9.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს ეკისრება პირგასამტეხლო, 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით, შემსრულებლის სასარგებლოდ.

### 10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
	ი/მ მარიამ გულუაშვილი დოლიძე
	პ/ნ 01005036520
იურიდიული მისამართი:	იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ცოტნე დადიანის 34/10
ელ. ფოსტა:	ელ. ფოსტა: contact@withus.ge
<b>საბანკო რეკვიზიტები</b>	
ბანკი:	სს თიბისი ბანკი
მიმღები:	ი/მ მარიამ გულუაშვილი-დოლიძე
ანგარიშის #: GE80TB7949245064300028	
ბანკის კოდი: TBCBGE22	
ხელმოწერილი პირი:	ხელმოწერილი პირი: მარიამ გულუაშვილი-დოლიძე

# N24032022/2 ხელშეკრულების

## დანართი #1

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება:

### ტექნიკური აღწერა

საიტის ტიპი: საინფორმაციო ტიპის საიტი  
სამართავი პანელის ენა: ინგლისური  
საიტის ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

ტექნიკური მახასიათებლები:

- საიტის არქიტექტურა  
wix-ფლატფორმა

გვერდები:

- მთავარი
- ჩვენ შესახებ
  - ჩვენ შესახებ ტექსტური ბლოკი
  - ისტორიის ტექსტური ბლოკი
- სერვისები
  - სერვისის შიდა გვერდი
- განცხადებები
- კონტაქტი

დამკვეთი ----- შემსრულებელი -----  
საიტზე წარმოდგენილი ბლოკების აღწერა და მათი ფუნქციონალი

მთავარი გვერდი:

მთავარ გვერდზე წარმოდგენილი იქნება შემდეგი ბლოკები:

- ვებსაიტის ჰედერი - ნავიგაცია
- სოციალური ქსელების ხატულები
  - LinkedIn
  - Facebook
- სლაიდერი

დამკვეთი ----- შემსრულებელი -----

- ჩვენ შესახებ - მოკლე ინფორმაცია
- განცხადებები - უახლესი განცხადებები
- სერვისები
  - სერვისი 1
  - სერვისი 2
  - სერვისი 3
  - სერვისი 4
  - ...
- ვებსაიტის ფუტერი
  - დამზადებულია withus-ის მიერ
  - ყველა უფლება დაცულია

### ჰედერი

- ლოგო
  - ლოგოზე დაჭერით მომხმარებელი გადავა საიტის მთავარ გვერდზე
- ნავიგაცია (საიტის მენიუ)
  - მენიუს პუნქტებზე დაჭერით მომხმარებელი გადავა შესაბამის გვერდზე
- კომპანიის ნომერი და ელ-ფოსტა
- ენების გადამრთველი
  - ქართული - სანყისი ენა
  - ინგლისური
  - რუსული

### სლაიდერი

- განთავსდება საინფორმაციო ბანერები სურათის სახით
  - საიტის ადმინისტრატორს სამართავი პანელიდან შეეძლება სლაიდერში სურათების დამატება შეუზღუდავი რაოდენობით.
  - სლაიდერის სურათები იქნება დალინკული. სურათზე დაჭერით მომხმარებელი გადავა იმ ბმულზე, რომელიც იქნება მითითებული სამართავ პანელში ადმინისტრატორის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ბმული არ არის მითითებული, სურათი არ იქნება დალინკული და შესაბამისად მომხმარებელი ვერ შეძლებს სურათზე დაჭერას.

### ჩვენ შესახებ

მოცემული იქნება მოკლე ტექსტური ინფორმაცია კომპანიის შესახებ.

- სურათი
- ტექსტური აღწერა

### განცხადებები

მოცემული იქნება განცხადებები პოსტების სახით

- სათაური
- ფოტო
- ტექსტური აღწერა
- გამოქვეყნების თარიღი

### სერვისები

მოცემული იქნება 5 ტიპის სერვისი

- სურათი/აიქონი
- სათაური

- მოკლე აღწერა

სერვისის სათაურზე დაწკაპუნებით მომხმარებელი გადამისამართდება შიდა გვერდზე. ბრენდის ლოგო.

ვებსაიტის ფუტერი

- დამზადებულია withus-ის მიერ
- ყველა უფლება დაცულია
- სოციალური ქსელების ხატულები
  - მომხმარებელი ხატულაზე დაჭერით გადავა იმ სოციალური ქსელის ბმულზე, რომელიც იქნება მითითებული სამართავ პანელში ადმინისტრატორის მიერ

## ჩვენ შესახებ გვერდი

მოცემული იქნება ტექსტური ინფორმაცია კომპანიის შესახებ

- სურათი
- აღწერა

ჩვენ შესახების შემდეგ მოცემული იქნება მოკლე ტექსტური ინფორმაცია ისტორიის შესახებ პუნქტების სახით. • აიქონი

- წელი
- ტექსტური აღწერა

## სერვისების გვერდი

სერვისები

მოცემული იქნება 4-6 ტიპის სერვისი

- სურათი
- სათაური
- მოკლე აღწერა

## სერვისის შიდა გვერდი

- სურათი
- სათაური
- სრული აღწერა

## განცხადებების გვერდი

მოცემული იქნება განცხადებები პოსტების სახით

- სათაური
- ფოტო
- ტექსტური აღწერა
- გამოქვეყნების თარიღი

## განცხადების შიდა გვერდი

- სათაური
- გამოქვეყნების თარიღი
- ფოტოსურათები შეუზღუდავი რაოდენობით
- ტექსტი

## კონტაქტი

გვერდი შეიცავს შემდეგ ველებს:

- ელ. ფოსტა
- ტელ.ნომერი
- კომპანიის საბუთო საათები (ტექსტური ველი)
- Facebook გვერდის ბმული
- LinkedIn გვერდის ბმული
- რუკა

დამკვეთი	შემსრულებელი
	ი/მ მარიამ გულუაშვილი-დოლიძე
ს.კ.:	პ/ნ: 01005036520
ხელმოწერი პირი:	მარიამ გულუაშვილი-დოლიძე